გამოხატვის თავისუფლება v. პატივისა და ღირსების დაცვა

გზამკვლევი

2018

სარჩევი

ნაშრომის მოკლე შინაარსის აღწერა....3

გამოხატვის თავისუფლების არსი და მნიშვნელობა....4

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები....5

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ცილისწამების საფუძვლით....6

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დაუშვებლობა ცილისწამების საფუძვლით....8

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა ცილისწამებასთან დაკავშირებულ საქმეებზე....9

საქართველოს წინააღმდეგ ცილისწამებასთან დაკავშირებით დასრულებული საქმეები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში....17

ნაშრომის მოკლე შინაარსის აღწერა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების გზამკლევს, რომელიც განიხილავს აღნიშნული უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს. კერძოდ, ნაშრომში წარმოდგენილია მსჯელობა გამოხატვის თავისუფლებასა და პატივისა და ღირსების დაცვის უფლებასთან დაკავშირებულ პრობლემურ ასპექტებზე.

გზამკვლევის პირველი ნაწილი მოიცავს გამოხატვის თავისუფლების ზოგად დახასიათებას. უფრო ზუსტად ამ ნაწილში, განხილულია გამოხატვის თავისუფლების არსი და მნიშვნელობა. ხოლო ნაშრომის შემდეგ ნაწილში წარმოდგენილია მსჯელობა აღნიშნული უფლების შეზღუდვის შესაძლებლობისა და საფუძვლების შესახებ.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ზოგად საფუძვლებზე მსჯელობის შემდეგ წარმოდგენილია კონკრეტული მსჯელობანი აღნიშნული უფლებით სარგებლობის შინაარსობრივი შეზღუდვის ერთ-ერთ სახეზე - კერძოდ, ცილისწამების შემთხვევებზე. ნაშრომი მოიცავს საკანონმდებლო ჩანაწერების ანალიზსაც, თუმცა ნაშრომში განსაკუთრებით დიდი ადგილი ეთმობა ამ უკანასკნელთა გამოყენებას სასამართლო პრაქტიკაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმოხილულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა და ასევე გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემებიც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებთან ერთად ნაშრომში ასევე განხილულია საქართველოს წინააღმდეგ ცილისწამებასთან დაკავშირებით დასრულებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ორი გადაწყვეტილებაც.

გზამკვლევის შინაარსობრივი მახასიათებლებიდან გამომდინარე, იგი შესაძლოა საინტერესო იყოს არა მხოლოდ ჟურნალისტებისათვის, არამედ ნებისმიერი პირისათვის, რომელიც გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობს.

გამოხატვის თავისუფლების არსი და მნიშვნელობა

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.“ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი იცავს ადამიანის უფლებას „მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს საკუთარი აზრი, საგანგებოდ იცავს აზრისა და ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებით გავრცელების შესაძლებლობას, მათ შორის არის პრესა, ტელევიზია, ინფორმაციის და აზრის გავრცელების სხვა საშუალებები.“[1]

2018 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების შემდეგ ძალაში შევა საქართველოს ახალი კონსტიტუცია. გამოხატვის თავისუფლება ახალი კონსტიტუციის მე-17 მუხლით არის დაცული. უფრო ზუსტად, ახალი კონსტიტუციის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტი მიუთითებს: „აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო.“

გამოხატვის თავისუფლება არსებითად მნიშვნელოვანია დემოკრატიული სახელმწიფოსათვის, მეტიც, იგი დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარების აუცილებელი წინაპირობაა[2] და დიდი ხანია დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელ და ძირითად ფუნდამენტურ ელემენტს მიეკუთვნება. აღნიშნულ უფლებასთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა: „გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია, ამ უფლების სათანადო უზრუნველყოფის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია სხვა უფლებების სრულყოფილი რეალიზაცია.“[3]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში დამატებით ასევე აღნიშნა, რომ „თავისუფალი საზოგადოება შედგება თავისუფალი ინდივიდებისაგან, რომლებიც ცხოვრობენ თავისუფალ ინფორმაციულ სივრცეში, თავისუფლად აზროვნებენ, აქვთ დამოუკიდებელი შეხედულებები და მონაწილეობენ დემოკრატიულ პროცესებში, რაც აზრთა გაცვლა-გამოცვლასა და პაექრობას გულისხმობს.“[4]

2004 წლის 15 ივლისიდან საქართველოში მოქმედებს სპეციალური კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტიც, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მსგავსად, განამტკიცებს პირთაგამოხატვის თავისუფლებას. კერძოდ, დასახელებული მუხლის თანახმად: „სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი

---

[1]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II თავი, პარ. 28.
[2]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“,II თავი,პარ. 30.
[3]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის #1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები- გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II თავი, პარ. 6.
[4]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე“საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ , II თავი, პარ. 13.

და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.“[5]

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები

გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობის მიუხედავად, აღნიშნული უფლება აბსოლუტური არ არის, რაც ნიშნავს, რომ იგი შესაძლოა რიგ შეზღუდვებს დაექვემდებაროს. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები მოცემულია თავად საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტში, რომლის თანახმადაც, აღნიშნული უფლება შესაძლოა შეიზღუდოს „კანონით ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“[6]

რაც შეეხება ახალ კონსტიტუციაში არსებულ ჩანაწერს, კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დასახელებულ უფლებათა შეზღუდვა „დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“[7]

იმის გათვალისწინებით, რომ ახალი პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებამდე ჯერ კიდევ 1995 წელს მიღებული კონსტიტუცია მოქმედებს და, შესაბამისად, სასამართლო პრაქტიკაც სწორედ აღნიშნულ მუხლს ეყრდნობა, რელევანტურია კვლევის ფარგლებში სწორედ აღნიშნული პრაქტიკა მიმოვიხილოთ.

ამ ნაწილში ასევე აღსანიშნავია, რომ, ზემოაღნიშნული ჩანაწერების გარდა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვებს ითვალისწინებს თავად „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონიც, რომელიც მოიცავს კონკრეტულ ჩანაწერებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივ რეგულირებასთან დაკავშირებით. უფრო ზუსტად, აღნიშნული კანონის მე-9 მუხლის 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილია სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირების საფუძვლები, მათ შორის, მითითებულია, რომ აღნიშნული რეგულირება მოქმედებს, თუ გამოხატვა ეხება ცილისწამებას. [8] კვლევის ფარგლებში განხილული იქნება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული საკითხები უშუალოდ ცილისწამების კონტექსტში.

---

[5]„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი
[6]საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი.
[7]საქართველოს ახალი კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი.
[8]„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ცილისწამების საფუძვლით

ცილისწამების საფუძვლით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით დეტალური რეგულირება ასახულია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 თავში. მართალია, კანონში ცნება „ცილისწამება“, ზოგადად, განმარტებულია, როგორც „არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება“, თუმცა აღნიშნული თავის მიზნებისათვის, ერთმანეთისაგან განსხვავებულია კერძო პირის ცილისწამებისა და საჯარო პირის ცილისწამების გამო პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები. უფრო ზუსტად პირს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება:

კერძო პირის ცილისწამებისთვის[9]- თუ მოსარჩელე (პირი, რომელიც სასამართლოში შეიტანს სარჩელს მის წინააღმდეგ განხორციელებული ცილისწამების გამო) სასამართლოში დაამტკიცებს, რომ:

1. განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მის შესახებ;
2. ამ განცხადებით მას ზიანი მიადგა.

საჯარო პირის ცილისწამებისთვის [10]- თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ:

1. განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მის შესახებ;
2. ამ განცხადებით მას ზიანი მიადგა;
3. განცხადებული ფაქტის მცდარობა განცხადების გამავრცელებელი პირისთვის წინასწარ იყო ცნობილი;
4. ან განცხადების გამავრცელებელმა გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.

იმისათვის, რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს განსხვავება ამ ორ რეგულირებას შორის, რომლის ფარგლებშიც საჯარო პირის ცილისწამებისათვის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად უფრო მეტი კრიტერიუმის დაკმაყოფილებაა საჭირო, ვიდრე კერძო პირის ცილისწამების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ თავად ამ ორ ცნებას შორის განსხვავება.

---

[9] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი.

[10] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი.



კერძო და საჯარო პირებთან მიმართებით „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ დამატებით აღნიშნულია, რომ „კერძო ან საჯარო პირის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს პირისათვის საჯარო პირის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.“[13]

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ „სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს.“[14] აღნიშნულიდან გამომდინარე, „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.“[15]

---

[11] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ი“ პუნქტი.
[12] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „კ“ პუნქტი.
[13] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.
[14] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი.
[15] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონოს მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დაუშვებლობა ცილისწამების საფუძვლით

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, მათ შორის, ცილისწამების საფუძვლით იმთავითვე დაუშვებელია, თუ აღნიშნული მოიაზრებს პირის მიერ საკუთარი მოსაზრების გავრცელებას. აზრის აბსოლუტური თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით. ეს პრინციპი განმტკიცებულია „სიტყვისა და თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონშიც.[16] კანონი ითვალისწინებს **„აზრის“** განმარტებასაც.[17] კერძოდ, **„აზრში“ იგულიხმება:**

- შეფასებითიმსჯელობა
- თვალსაზრისი
- კომენტარი
- ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან

ამ ნაწილში აღსანიშნავია, რომ „აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.“[18]

ზემოთქმულის გარდა, **პირს არ შეიძლება დაეკისროს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა ცილისწამებისათვის, თუ მან განცხადება გააკეთა:**[19]

- პოლიტიკური დებატების ფარგლებში;
- პარლამენტის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ან საკრებულოს წევრის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;
- უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნით;
- წინასასამართლო ან სასამართლო პროცესზე;
- ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე;
- სახალხო დამცველის წინაშე;
- საკრებულოს სხდომაზე;
- აგრეთვე მათი კომიტეტის/კომისიის სხდომაზე

16„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

17„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ბ“ პუნქტი.

18„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი.

19„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა ცილისწამებასთან დაკავშირებულ საქმეებზე

ვიდრე უშუალოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის განხილვაზე გადავიდოდეთ, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ სტატისტიკური მონაცემების შესახებ. 2014-2018 (18 ოქტომბრის მდგომარეობით) წლებში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ცილისწამებასთან დაკავშირებით ჯამში 16 გადაწყვეტილება მიიღო, რომელთაგან 6 შემთხვევაში გადაწყვეტილებით გამოხატვის თავისუფლება შეიზღუდა (იხ. სურათი #1).

მართალია, აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შეუძლებელია ვიმსჯელოთ სრულ სურათზე, ვინაიდან სტატისტიკა მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას ეყრდნობა, თუმცა შეგვიძლია ზოგად ტენდენციებზე ვიმსჯელოთ, რომლის თანახმადაც, 2014-2018 (18 ოქტომბრის მდგომარეობით) წლებში საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ცილისწამებასთან დაკავშირებულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებებიდან 37.5% დასრულდა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვით.



რაც შეეხება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფორმას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირთათვის დაკისრებულ სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას, 5 შემთხვევაში პირებს ცილისმწამებლური ფაქტების უარყოფა დაეკისრათ (იხ. სურათი #2), ხოლო 1 შემთხვევაში, ცილისმწამებლური ფაქტების უარყოფასთან ერთად, მორალური ზიანის ანაზღაურებაც (იხ. სურათი #3).



#3 სურათზე მითითებული მონაცემი, რომლის თანახმადაც, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2014-2018 (18 ოქტომბრის მდგომაროებით) წლებში მიღებული გადაწყვეტილებებიდან მხოლოდ 1 დასრულდა ცილისწამების გამო პირისათვის მორალური ზიანის ანაზღაურებით, ასევე მოიცავს #2 სურათზე მითითებული სტატისტიკიდან 1 საქმეს. უფრო ზუსტად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 აპრილს მიღებული გადაწყვეტილებით პირს დაეკისრა როგორც ცილისწმამებლური ფაქტების უარყოფა, ისე მორალური ზიანის ანაზღაურებაც.[20]



[20]საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება Nას-1332-1258-2012.

<u>საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის განჩინება საქმეზე N ას-928-868-2017</u>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასთან დაკავშირებული სტატისტიკის მიმოხილვის შემდეგ მნიშვნელოვანია განვიხილოთ უშუალოდ გადაწყვეტილებებში ასახული მსჯელობები ცილისწამებასა და გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით.

<u>საქმის ფაქტობრივი გარემოებები</u>

განსახილველი საქმე ეხება **ჟურნალისტის** სარჩელს კახეთის **გუბერნატორის** წინააღმდეგ, რომელიც ითხოვს სასამართლო გადაწყვეტილებით გუბერნატორს დაეკისროს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის უარყოფა.

როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, კახეთის გუბერნატორის მიმართ არსებობდა გარკვეული ბრალდებები,[21] მათ შორის აღსანიშნავიაკახეთის საინფორმაციო ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატია სათაურით „ქეიფი ბიუჯეტის ხარჯზე - თ.თ-ის დასახვედრად რესტორანში 2 350 ლარი დაიხარჯა.“ აღნიშნულ სტატიაში მითითებული იყო, რომ რესტორანში გადახდილი თანხა ახმეტის ბიუჯეტიდან გამოიყო. [22]

ზემოთქმულის გარდა, გუბერნატორის შესახებ ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც მისი ოჯახი უსასყიდლოდ იყენებდა მუნიციპალურ სპეცტექნიკასა და მუშებს, ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის დროს მუშაც კი დაიღუპა, თუმცა გამოძიება არ დაწყებულა. აღნიშნული ინფორმაციის საპასუხოდ 2015 წლის 24 აპრილს გავრცელდა ვიდეო-ინტერვიუ გუბერნატორის მონაწილეობით, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ ამ სახის ინფორმაციის გავრცელება უკავშირდებოდა პიროვნულ კონფლიქტს მასსა და ჟურნალისტ გ.მ-ს (მოსარჩელეს) შორის, რომელიც ზემოხსენებული საინფორმაციო ცენტრის მესაკუთრე და დირექტორია.[23]უფრო ზუსტად, გუბერნატორი მიიჩნევდა, რომ კონფლიქტის მიზეზი შპს საინფორმაციო ცენტრღან საინფორმაციო სახის მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმა იყო.[24]

„ხელშეკრულებები ყველა მუნიციპალიტეტში იყო ცალკე გაფორმებული. ყველა საკრებულოში იყო ცალკე გაფორმებული და საერთო ჯამში ეს თანხა შეადგენდა და ბატონი მოსარჩელე ღებულობდა იმაზე თითქმის ორჯერ მეტ შემოსავალს, ვიდრე დღეს ღებულობს მოქმედი გუბერნატორი. სწორედ ყოველთვიურად ამ თანხის დაკარგვის გამო იყო რამდენჯერ მუქარა, იყო შემოთვლა, იყო რამდენჯერ თქმა იმისა, რომ ეს თუ ესე არ იქნება, მაშინ მოიძებმნება ალტერნატიული შემოსავლის წყარო, რომელიც იქნება მთლიანად გაგებული გუბერნატორის დისკრეტიდაციაზე.“

გუბერნაატორი ვიდეო ინტერვიუში აცხადებდა:

---

[21] ქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის განჩინება საქმეზე N ას-928-868-2017, აღწერილობითი ნაწილი, პარ.1.

[22] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის განჩინება საქმეზე N ას-928-868-2017, აღწერილობითი ნაწილი, პარ.2.

[23] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის განჩინება საქმეზე N ას-928-868-2017, აღწერილობითი ნაწილი, პარ.3.

[24] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის განჩინება საქმეზე N ას-928-868-2017, აღწერილობითი ნაწილი, პარ.4.

სასამართლოს გადაწყვეტილება და მსჯელობა

საქართველოს უზენაესმა სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება. [25] შესაბამისად, გუბერნატორს დაევალა ჟურნალისტის მიმართ გავრცელებული არასწორი ინფორმაციის უარყოფა იმავე საშუალებით, რა საშუალებითაც მოხდა მისი გავრცელება.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა, რამდენად წარმოადგენდა გუბერნატორის მსჯელობა **„აზრს“**, თუ **„არსებითად მცდარ ფაქტს“**. ამ ნაწილში სასამართლომ იხელმძღვანელა, როგორც „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის რელევანტური ჩანაწერებით, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით და საბოლოოდ დაადგინა, რომ გუბერნატორის მიერ გავრცელებული განცხადება საინფორმაციო ცენტრის შემოსავალთან მიმართებით წარმოადგენდა მცდარ ფაქტს. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ აზრმოკლებული იყო გუბერნატორის არგუმენტი, რომ მის მიერ მითითებულ თანხასთან დაკავშირებით არსებული შეცდომა მხოლოდ მათემატიკური ხასიათისაა. [26]

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გუბერნატორის არგუმენტზეც, რომ მის მიერ გაკეთებული განცხადება ჟურნალისტის მხრიდან მის შესახებ მანამდე გავრცელებულ ინფორმაციაზე პასუხი იყო. სასამართლომ ამ ნაწილში აღნიშნა, რომ გუბერნატორი წარმოადგენს საჯარო პირს და, შესაბამისად, მის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები გაცილებით ფართოა. [27]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-103-98-2014

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

განსახილველ შემთხვევაში მოპასუხემ სოციალურ ქსელში **„Facebook”**, კერძოდ კი, **„პირად ჩათში“**, რომელიც მხოლოდ ამ უკანასკნელისათვის იყო განკუთვნილი და ხელმისაწვდომი, მესამე პირს მისწერა, რომ მოსარჩელემ მას ვალი არ დაუბრუნა. მოპასუხემ შეტყობინების ადრესატს, როგორც მოსარჩელის პარტნიორს სიფრთილისაკენ მოუწოდა. [28]

მოპასუხე ამბობდა:

„მოსარჩელე ქურდი და არამზადაა“... „ასეთ უპატიოსნო ადამიანს შეუძლია 1 ვერცხლად გაყიდოს ნებისმიერი,“...

[25] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის განჩინება საქმეზე N ას-928-868-2017, სარეზოლუციო ნაწილი, პარ. 2.

[26] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის განჩინება საქმეზე N ას-928-868-2017, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 20.

[27] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის განჩინება საქმეზე N ას-928-868-2017, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 21.

[28] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-103-98-2014, აღწერილობითი ნაწილი, პარ. 4.

აღსანიშნავია, რომ მოპასუხის მიერ მესამე პირისათვის ამ ტიპის წერილის მიწერამდე მოპასუხესა და მოსარჩელეს დაძაბული საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ, ვინაიდან მოსარჩელე მოპასუხეს ვალს დროულად არ უბრუნებდა. [29]

საბოლოო ჯამში, ზემოთქმული ფაქტიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა სასამართლო გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაეკისროს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის უარყოფა, ასევე მორალური ზიანის ანაზღაურება.

<u>სასამართლოს გადაწყვეტილება და მსჯელობა</u>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 დეკემბრის განჩინება. [30]საბოლოო ჯამში, მოპასუხეს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაკისრებია.

სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას ყურადღება გაამახვილა მოპასუხის **მიზანზე.** კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა: „განაწყენებულმა და შეურაცხყოფილმა მოპასუხემ მესამე პირთან პირად წეილში გამოხატა თავისი გულიწყრომა, უარყოფითი დამოკიდებულება მოსარჩელის პიროვნებისადმი იმით, რომ შეაფასა იგი კონკრეტული გამონათქვამით. მოპასუხის მიზანი წერილშივეა დაფიქსირებული, რაც გულისხმობს მოწოდებას წერილის ადრესატისადმი, ყურადღებით მოეკიდოს მოსარჩელესთან ურთიერთობას, აფრთხილებს, რომ დიდი ალბათობით თვითონაც არ აღმოჩნდეს მოსარჩელესთან ურთიერთობით გაწბილებული.“[31]

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ასევე გაიზიარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა წერილის ტექსტთან მიმართებით, რომ „წერილის ტექსტი შესაძლებელია ატარებდეს შეურაცხმყოფელ ხასიათს, თუმცა, იგი არ წარმოადგენს რაიმე სახის ინფორმაციის შემცველ განცხადებას, იგი **არ შეიცავს ფაქტის შემცველ ცნობებს პირის შესახებ.**“[32]

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ მესამე პირისათვის მიწერილი წერილი მოიცავდა მოპასუხის მოსაზრებებს, რისი აბსოლუტური თავისუფლებაც დაცულია. შესაბამისად, მოპასუხეს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაკისრებია.

---

[29] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის აგდაწყვეტილება საქმეზე N ას-103-98-2014, აღწერილობითი ნაწილი, პარ.2.

[30] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-103-98-2014, სარეზოლუციო ნაწილი, პარ.2.

[31] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-103-98-2014, სამოტივაციო ნაწილი, პარ.42.

[32] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-103-98-2014,

<u>საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის განჩინება საქმეზე ას-790-739-2017</u>

<u>საქმის ფაქტობრივი გარემოებები</u>

ქალაქ ახალციხის ადგილობრივი ტელევიზიის შპს ტელერადიო კომპანია „ი-ის“ მე-9 არხის პირდაპირ ეთერში გადაცემა „დ-ის“ მსვლელობის დროს 2015 წლის 10 დეკემბერს ქალაქ ახალციხის მერმა გ.კ-ემ (მოპასუხემ) საკრებულოს წევრს ჯ.გ-ს (მოსარჩელეს) მიმართა შემდეგი სიტყვებით:[33]

„პატიმრები, რომლებსაც შენ ბოთლებზე სვამდი და ფანჯრებიდან ყრიდი, რისთვისაც პოლიციიდან გამოგაგდეს.“

აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე, საკრებულოს წევრმა სარჩელი შეიტანა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითოვა პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების უარყოფა.

<u>სასამართლოს გადაწყვეტილება და მსჯელობა</u>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება. [34]საბოლოო ჯამში, მოპასუხის მიმართ ძალაში დარჩა სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, კერძოდ, 2015 წლის 10 დეკემბრის გადაცემა „დ-ის“ პირდაპირ ეთერში მოსარჩელის მიმართ გაჟღერებული ცილისწმამებლური ინფორმაციის უარყოფა.

განსახილველ შემთხვევაშიც სასამართლომ ყურადღება გაამახვილა „აზრისა“ და „ფაქტის“ გამიჯვნაზე. საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მოპასუხის ნათქვამი ჩაითვალა, როგორც ფაქტის გადმოცემა და არა მისი მხრიდან აზრის დაფიქსირება. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ მოსარჩელე იყო საკრებულოს წევრი და, შესაბამისად, არ წარმოადგენდა საჯარო პირს [35]„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეს, როგორც კერძო პირს, მის წინააღმდეგ ცილისწამების დასამტკიცებლად, საჯარო პირისაგან განსხვაებით, ნაკლები კრიტერიუმების დაკმაყოიფილება დასჭირდა. თუმცა, როგორც სასამართლომ აღნიშნა, იმ შემთხვევაშიც, თუ მოსარჩელე მიჩნეული იქნებოდა საჯარო პირად, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარის საფუძელს ქმნიდა საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების

---

[33] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის განჩინება საქმეზე N ას-790-739-2017, აღწერილობითი ნაწილი, პარ. 1.

[34] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის განჩინება საქმეზე N ას-790-739-2017, სარეზოლუციო ნაწილი, პარ.2.

[35] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის განჩინება საქმეზე N ას-790-739-2017, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 17.1.

მისაღებად, მით უფრო მაშინ, როდესაც მოპასუხეს რაიმე გამომრიცხავი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. [36]

<u>საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1559-1462-2012</u>

<u>საქმის ფაქტობრივი გარემოებები</u>

აღნიშნულ საქმეში მოპასუხემ „ფეისბუქის“ მეშვეობით გაავრცელა მოსარჩელის პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობები, კერძოდ, ბრალი დასდო მისი ყოფილი მეუღლი, დ.კ-ს განზრახ მკვლელობაში. მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად:

> „მოსარჩელემ მოწამლული მწვადი დაუტოვა დ.კ-ს, თანაც შვილებს დაავალა მამისთვის ეთხოვათ, რომ აუცილებლად ეჭამა დედის მიერ დატოვებული მოწამლული ხორცი.“

ზემოთქმული ფაქტიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხისათვის მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფის დავალება.

<u>სასამართლო გადაწყვეტილება და მსჯელობა</u>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 ოქტომბრის განჩინება. [37]მოპასუხეს მოსარჩელის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა დაევალა.

უზენაესმა სასამართლომ გამოხატვის თავისუფლების კონტექსსტში **„საჯაროდ გავრცელება“** განმარტა. უფრო ზუსტად, აღნიშნულის განმარტება აუცილებელი გახდა იქედან გამომდინარე, რომ მოპასუხის მითითებით, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის ფაქტი, რომ სადავო განცხადებები გამოქვეყნდა სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ მეშვეობით და იგი ხელმისაწვდომი მხოლოდ მის მიერ დამეგობრებული პირებისათვის იყო. შესაბამისად, მოპასუხის მითითებით, მისი განცხადება საჯაროდ არ გავრცელებულა. [38]

აღნიშნულთან მიმართებით სასამართლომ აღნიშნა, რომ **„საჯაროდ გავრცელება“** არ გულისხმობს „ინფორმაციის მხოლოდ პრესასა თუ ტელევიზიაში გახმაურებას, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც სოციალური მედია, ბლოგინგი და მიკრობლოგინგი სულ უფრო დიდ როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში. ნებისმიერი საშუალება,

---

[36] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 იანვრის განჩინება საქმეზე N ას-790-739-2017, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 17.1.

[37] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-1559-1462-2012, სარეზოლუციო ნაწილი, პარ. 2 .

[38] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-1559-1462-2012, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 3 (გ.4).

რომელიც ინფორმაციის პირთა განუსაზღვრელი წრისადმი მიწოდებისათვის გამოდგება, საჯაროდ გავრცელების წყაროდ უნდა შეფასდეს.“[39]

მოპასუხისათვის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ნაწილში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სადავო განცხადების გავრცელების შემდეგ მოსარჩელის მიმართ სამსახურში გაჩნდა არაჯანსაღი დამოკიდებულება, დაიწყო მითქმა-მოთქმა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე მუშობდა მეცნიერ-მუშაკად. განცხადებების გავრცელების შემდეგ კი მის მიმართ გამოვლინდა სტუდენტების ნეგატიური განწყობა, იშლებოდა ლექციები.[40] სასამართლომ ასევე აღნიშნა,რ ომ ამ აგრემოებების საპირისპირო მტკიცებულებები საქმეში მოხმობილი არ ყოფილა. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ „სადავო განცხადებები **საზოგადოებაში აღქმულ იქნა რეალურად. აღნიშნული** განცხადების გავრცელებას მოჰყვა მოსარჩელის რეპუტაციის შელახვა და დისკრედიტაცია, რაც საკმარისი საფუძველია სარჩელის დაკმაყოფილებისათვის.“[41]

<u>**საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-1332-1258-2012**</u>

<u>საქმის ფაქტობრივი გარემოებები</u>

სასამართლო გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მითითებულია, რომ: „2011 წლის 4 ივლისს გაზეთ „კვირის ქრონიკაში“ დაიბეჭდა ჟურნალისტ დ.ჩ-ის სტატია სათაურით <u>- „ამას რომ წაიკითხავს, აბა, ერთი, მაშინ გამოვიდეს ეგ ნაძირალა ო.კ-ე და ხმა ამოიღოს!,</u> აღნიშნული სტატიით მოსარჩელეს **ცილი დასწამეს პედოფილობასა და სხვა გარყვნილი ქმედების არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენაში**, სტატია არ არის გამყარებული რაიმე მტკიცებულებებით, გარდა ვინმე .ა-ის მიმართ 70-იან წლებში წარმოებული სისხლის სამართლის მასალებისა.“[42]

საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, აღნიშნულის შემდგომ ამავე გაზეთის სხვა ნომრებში კვლავ გამოქვეყნდა სხვადასხვა სტატიები, რომლებიც „მოსარჩელის თაობაზე შეიცავდნენ არსებითად მცდარ და სახელის გამტეხ განცხადებებს და გამოყენებულ იქნა ისეთი **შეურაცხმყოფელი განაცხადი,** როგორიცაა **ნაძირალა, პედოფილი და ა.შ.“**[43]

აღნიშნულ საქმეში მოსარჩელე ითხოვდა მორალური ზიანის ანაზღაურებას 50,000 ლარის ოდენობით.

<u>სასამართლო გადაწყვეტილება და მსჯელო</u>

---

[39] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-1559-1462-2012, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 3 (გ.4).

[40] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-1559-1462-2012, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 3 (გ.6).

[41] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-1559-1462-2012, სამოტივაციო ნაწილი, პარ. 3 (გ.6).

[42] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-1332-1258-2012, აღწერილობითი ნაწილი, პარ.2 (გ.1).

[43] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-1332-1258-2012, აღწერილობითი ნაწილი, პარ.2 (გ.1).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით დაკმაყოფილდა. სასამართლომ აღნიშნა: „მოსარჩელის შესახებ გავრცელებული ფაქტები მცდარია და, შესაბამისად, ადგილი ჰქონდა ცილისწამებას, რითაც ზიანი მიადგა მოსარჩელეს - შეილახა მისი პატივი და ღირსება."

ამ ნაწილში მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ დამატებით ასევე მიუთითა: „დარღვეულია ჟურნალისტის „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა", გამოხატვა განხორციელდა იმგვარი ფორმით და მანერით, რომელიც **საშუალო მკითველში აღძრავს მოსარჩელის მიმართ ზიზღს, მოსარჩელეს წარმოაჩენს, როგორც დამნაშავეს,** რომელაც თავი აარიდა პასუხისმგებლობას, ამასთან სახეზეა კანონიერი ინტერესის სერიოზული დაზიანება. ამდენად, ის გარემოებები, რომლებიც ჩარევის აუცილებლობას ამართლებენ, საკმარისადაა მოცემული."

რაც შეეხება **მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის** ნაწილს, სასამართლომ მხედველობაში მიიღო შემდეგი გარემოებები:

- მოსარჩელე საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პირია;
- განცხადება შეიცავდა ცილისმწამებლურ ინფორმაციას მოსარჩელეზე;
- გაზეთი დიდი ტირაჟით გამოიცა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, გავრცელდა და ხელმისაწვდომ გახდა ქართველი მკითველისათვის.

ამ ნაწილში მნიშვნელოვანია აღინიშნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაც, რომელიც ასახულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს განსახილველ გადაწყვეტილებაში და, რომლის თანახმადაც, მოსარჩელის მოთოვნა მორალური ზიანის სახით 50 000 ლარის დაკისრების თაობაზე საფუძლიანს წარმოადგენდა, რადგანაც კანონმდებელი არ არდგენდა იმ კრიტერიუმს, რომლითაც უნდა დადგენილიყო მორალური ზიანის ანაზღაურების ფარგლები. ეს საკითხი სასამართლოს შეფასებით მსჯელობის საგანს წარმოადგენდა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავად შემთხვევის ორიგინალობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა გადაწყვეტილიყო.

საქართველოს წინააღმდეგ ცილისწამებასთან დაკავშირებით დასრულებული საქმეები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ ცილისწამებასთან დაკავშირებით ჯამში 2 საქმე დასრულდა. ერთ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დაცული გამოხატვის თავისუფლების დარღვევა დაადგინა, ხოლო მეორე შემთხვევაში კი - ამავე კონვენციის მე-8 მუხლით დაცული რეპუტაციის უფლება.

„გორელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (2007 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება)[44]

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

განსახილველ საქმეში განმცხადებელს წარმოადგენს ჟურნალისტი.[45] 2000 წლის ივლისში მან გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით „ორმაგი“ სამინისტროს მინისტრა არ იცის, სად და რამდენი აქვს შენახული“. აღნიშნული სტატია გამოქვეყნდა გაზეთში „მერიდიანი“.[46] სტატიაში გაკრიტიკებულები იყვნენ პოლიტიკოსები და მთავრობის წარმომადგენლები, მათ შორის იმ დროისათვის პარლამენტის წევრი გივი ლომინაძე, რომელიც მის მიერ შევსებული ქონებრივი დეკლარაციის გამო იყო გაკრიტიკებული.[47]

ბატონმა გივი ლომინაძემ ჟურნალისტისა და გაზეთის რედაქტორის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. მისი მითითებით, მის წინააღმდეგ ცილისწამება განხორციელდა, რადგან არასწორი იყო სტატიაში მოყვანილი ფააქტები. უფრო ზუსტად, „ისინი პირდაპირ მიუთითებდნენ, რომ მან შეიძინა საზაფხულო აგარაკი და თბილისის ბინა 1993 წელს პარლამენტის წევრად არჩევის შემდეგ, თუმცა სინამდვილეში, მისი ქონების უმეტესობა 1970-80-იან წლებშია შეძენილი.“[48]

აღნიშნული საქმე საბოლოოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოში დასრულდა, რომელმაც განმცხადებელსა და გაზეთის რედაქტორს ერთობლივად 100 ლარის (46 ევრო) გადახდა დაავალა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად. გარდა ამისა, სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, განმცხადებელს ასევე დაევალა ცილისწმამებლური გამონათქვამების იარყოფის გამოქვეყნება.[49]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებასთან მიმართებით განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მას საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ დადგენილი ვადების დარღვევით აცნობეს, ხოლო საბუთს არ ჰქონდა უზენაესი სასამართლოს კანცელარიის ბეჭედი.[50]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი ჩარევის მასშტაბი ვრცელდებოდა არა მთლიანად პუბლიკაციაზე, არამედ მასში მოყვანილ ორ ფრაზაზე:

„სიძე დაეხმარა სიმამრს; სხვაგვარად ეს უკანასკნელი ვერ შესძლებდა ... საზაფხულო აგარაკის მშენებლობის დასრულებას...“

„შეიძლება მხოლოდ ვიკითხოთ ლომინაძე და მისნაირი ადამიანები მხოლოდ ჰაერით ხომ არ იკვებებიან და ამიტომაც ხელფასის დახარჯვა აღარ უწევთ; სხვაგვარად როგორ შეიძლება ამდენის დაზოგვა?!“

44 „[illegible] დამია[illegible] 2007 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება, N1279/04.

45 „გორელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, ადამიანის [illegible] 2007 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება, N1279/04, პარ. 5.

46 „გორელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება, N1279/04, პარ.6

47 „გორელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება, N1279/04, პარ. 7 .

48 „გორელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება, N1279/04, პარ. 11.

49 „გორელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება, N1279/04, პარ.19.

50 „გორელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება, N1279/04, პარ. 20.

<u>სასამართლოს გადაწყვეტილება და მსჯელობა</u>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განსახილველ საქმეზე დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) დარღვევა. [51]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა კანონით იყო განპირობებული და იგი კანონიერ მიზანს ემსახურებოდა. შესაბამისად, სასამართლოს შემდგომი ამოცანა იყო, დაედგინა, საჭირო იყო თუ არა ამგვარი ჩარევა „დემოკრატიული საზოგადოების“ პირობებში. [52]

ამ ნაწილში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „მისაღები კრიტიკის საზღვრები უფრო ფართოა პოლიტიკოსებთან მიმართებაში, ვიდრე კერძო პირთან მიმართებაში.“[53] გარდა ამისა, სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ „განმცხადებლის სტატიამ შეიტანა წვლილი რეგულარულ რუბრიკაში, რომელიც მკითხველთ აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა პოლიტიკური ფიგურების მატერიალური კეთილდღეობის თაობაზე.“[54] სასამართლომ დამატებით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ <u>„ამ კონკრეტული პარლამენტარის შემთხვევაში, საკითხი უფრო დიდი ხდება მისი „აფხაზეთის პრობლემასთან“ ასოცირების გამო, აგრეთვე, იმ დროისათვის საჯარო სამსახურში კორუფციის პრობლემის გათვალისწინებით.</u>“[55]

საბოლოო ჯამში, შესაძლოა ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა დაადგინა, რადგან საქართველოს იმდროინდელი კანონმდებლობა ერთმანეთისაგან არ განასხვავდებდა სუბიექტური აზრისა და ფაქტის ცნებებეს. [56]გარდა ამისა, მტკიცების ტვირთი მოპასუხე მხარეს ეკისრებოდა. თუმცა, რაც ყველაზე მთავარია, **სადავო**

---

[51] „გორელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება, N1279/04, სარეზოლუციო ნაწილი, მე-2 პუნქტი.

[52] „გორელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება, N1279/04, პარ. 31.

[53] „გორელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება, N1279/04, პარ. 35.

[54] „გორელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება, N1279/04, პარ. 36.

[55] „გორელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება, N1279/04, პარ. 36.

[56] „გორელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება, N1279/04, პარ.38.

გამონათქვამები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ შეფასდა, როგორც მოსაზრებები. [57]

„ჯიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ“ (2018 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება)[58]

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი არის ფსიქიატრი. იგი ასევე არის არასამთავრობო ორგანიზაციის დირექტორი. აღნიშნული ორგანიზაცია მუშაობს წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციაზე. აღანიშნავია, რომ განმცხადებელმა 2003 წელს თბილისის ციხის პატიმრებისათვის რეაბილიტაციის პროექტი შექმნა, რის შემდეგაც იგი იუსტიციის მინისტრის მიერ დაარსებული ციხის მონიტორინგის საბჭოს წევრი გახდა.

განსახილველი საქმე ეხება 2005 წელს იუსტიციის მინისტრის მიერ განმცხადებლის დადანაშულების ფაქტს. უფრო ზუსტად, იმ დროს მოქმედა იუსტიციის მინისტრმა განცმხადებელი დაადანაშაულა, რომ ეს უკანასკნელი თანხის სანაცვლოდ დასკვნებს ადგენდა პატიმრებისათვის და სწორედ აღნიშნული დასკვნების საფუძველზე ჯანმრთელი პატიმრები ციხის საავადმყოფოებში გადაჰყავდათ.

აღსანიშნავია, რომ მინისტრის მიერ ზემოთქმული განცხადებები ტელევიზიისა და ბეჭდური მედიის საშუალებით გაკეთდა. განმცხადებელმა იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელი აღძრა, თუმცა საქართველოს საერთო სასამართლოებმა მისი სარჩელი არ დააკმაყოფილეს, ვინაიდან მიიჩნიეს, რომ იუსტიციის მინისტრის განცხადებები შეიცავდა მის პირად მოსაზრებებს. გარდა ამისა, სასამართლოებმა ასევე მიიჩნიეს, რომ განმცხადებელი საჯარო პირს წარმოადგენდა და მას კრიტიკისადმი მეტი თმენის ვალდებულება გააჩნდა.

სასამართლოს გადაწყვეტილება და მსჯელობა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა საამართლომ მოცემულ საქმეზე დაადგინა ადამიანი უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით უზრუნველყოფული რეპუტაციის უფლების დარღვევა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა საამართლომ აღნიშნულ საქმეში გამოიყენა, რეპუტაციის უფლებისა და გამოხატვის უფლების კოლიზიის შემთხვევაში, გამოსაყენებლად მის მიერ დადგენილი კრიტერიუმები. კერძოდ, აღნიშნული კრიტერიუმებია:

---

[57] „გორელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება, N1279/04, პარ.39.

[58] „ჯიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება, N 18925/09.

- წვლილი, რომელიც სადავო განმცხადებამ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე შეიტანა;
- იმ პირის საზოგადოებრივი ცნობადობის ხარისხი, ვისაც სადავო განცხადება ეებოდა და მისი ქმედებები განცხადების გამოქვეყნებამდე;
- განცხადების საგანი, შინაარსი, ფორმა და შედეგები;
- რა გზით იქნა მოპოვებული განცხადებაში გაჟღერებული ინფორმაცია და რამდენად სარწმუნო იყო ის.

ამ ნაწილში სასამართლომ, პირველ რიგში, აღნიშნა, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ გავრცელებულმა ბრალდებებმა მიაღწიეს სერიოზულობის სავალდებულო დონეს და მათ შეეძლოთ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული რეპუტაციისთვის ზიანის მიყენება.

სასამართლომ ასევე აღნიჩნა, რომ „პატიმართა უსაფრთხოება, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, აგრეთვე, მათი დროული ჰისპიტალიზაცია წარმოადგენს ისეთ საკითხებს, რომლებიც საზოგადოებაზე გავლენას ახდენ იმდენად, რომ შეიძლება ინტერესი გამოიწვიოს მასში და მოიზიდოს ფართო მედია გაშუქება.“

სასამართლომ ასევე განიხილა, რამდენად წარმოადგენდა განმცხადებელი საჯარო პირს და ამ ნაწილში დაეთანხმა ეროვნულ სასამართლოებს - მანაც განცმხადებელი საჯარო პირად მიიჩნია.

გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ, იუსტიციის მინისტრის პოზიციიდან გამომდინარე, მისი განცხადებები განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და საზოგადოების მხრიდან ნდოაბს იმსახურებდა. შესაბამისად, „აღნიშნული გარემოება ადასტურებს მათი ნამდვილობის დაზუსტების საჭიროებას.“

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ დაეთანხმა ეროვნული სასამართლოების დასკვნას, რომ „მინისტრმა გამოიჩინა გულისხმიერება, როდესაც ეცადა დაედგინა მის მიერ გაკეთებული განცხადებების ნამდვილობა ან მომჩივანმა ვერ შეძლო მინისტრის მხრიდან გულიხმიერების ნაკლებობის დემონსტრაცია.“ ამ ნაწილში სასამართლომ აღნიჩნა, რომ „მართალია, მინისტრმა ჩაატარა შიდა გამოძიება, თუმცა ის არ დაელოდა მის დასრულებას. მას ასევე არ გააჩნდა მომჩივნის წინააღმდეგ სხვა დაზუსტებული ინფორმაცია.“

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განსახილველ საქმეზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის დარღვევა დაადგინა.